ყველას აინტერესებდა, საიდან მოხვდა იგი ამერიკაში, საიდან ისწავლა ასე კარგად ქართული ენა, თუ ყავდა საქართველოში ახლობლები და ნათესავები... ერთი სიტყვით, თბილისში მაშინ ყველა მასზე ლაპარაკობდა.

მაგრამ, ერთ დღეს, რომელსაც მშვენიერს ვერაფრით ვერ დავარქმევ, თბილისში მეხივით გავარდა ხმა: ამერიკული გამოფენის ქართველი მეგზური სამშობლოს მოღალატის შვილი ყოფილა და სასწრაფოდ გასახლეს დედაქალაქიდანო.

— მაინც როგორ მოხდა ეს-მეთქი? — ვეკითხები ბატონ შოთას, მითუმეტეს, რომ უკვე მის მაქანანში ვისხედით და ნიუ-იორკიდან ვაშინგტონამდე საკმაო მანძილი გვქონდა გასავლელი.

— იმ დღესაც გამოფენაზე ჩვეულებრივ ხალხმრავლობა იყო, — გვიყვება ბატონი შოთა საღირაშვილი, — ოღონდ უცებ, დამთვალიერებლებს გამოეყო ერთი გუნდი, რომელიც ყვირილით, ხმაურით მომვარდა და მომთხოვა: მოღალატის შვილმა ეხლავე სამშობლო დატოვეო!

ამის მოგონებაზე იგი გაფითრდა და მთხოვა, — მეტს ნუღარ მომაყოლებ, ჩემზე კარგად იცი, მამაჩემი რა სამშობლოს მოღალატეც იყოო!

მართლაც, კარგად ვიცოდი, თუ ვინ იყო მამამისი — დავით საღირაშვილი და რა „ღალატიც“ ჰქონდა ჩადენილი სამშობლოს წინაშე, მაგრამ იმ გუნდის მონაწილენი და მათი ინსპირატორები, ალბათ, დღესაც არიან საქართველოში და ეფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ჩვენს მკითხველს ერთხელ კიდევ მოვუთხრო დავით საღირაშვილის შესახებ და დასკვნები დაე, თვითონ გამოიტანოს:

დავით საღირაშვილი საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. დაიბადა თბილისში 1887 წლის 15 იანვარს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩაება მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში. 1898 წელს გაეცნო იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს). იგი მოგვიანებით დაწერს მოგონებას „იოსებ ჯუღაშვილი-სტალინი, როგორც ისტორიული პიროვნება“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამოვქვეყნე ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ (1990, №7). 1908-1909 წლებში დ. საღირაშვილი მონაწილეობს სპარსეთის რევოლუციაში, რომელიც მიმართული იყო შაჰის წინააღმდეგ. 1910 წელს ირანიდან დაბრუნებული დ. საღირაშვილი მეფის ჟანდარმერიამ დააპატიმრა და მეტეხში ჩასვა, საიდანაც გადაიყვანეს დონისროსტოვის ციხეში. 1913 წელს პატიმრობიდან განთავისუფლებული დ. საღირაშვილი დაბრუნდა თბილისში და კვლავ ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. ვ. ახმეტელთან და ლ. დარჩიაშვილთან ერთად მან დააარსა სოციალ-დემოკრატიული მმართულების გაზეთი „ფიქრი“, რომელიც გამოდიოდა 1913-14 წლებში. 1914 წელს დ. საღირაშვილი კვლავ დაატუსაღეს და მეორედ ჩასვეს მეტეხის ციხეში.

როდესაც რუსეთი პირველი მსოფლიო ომის ალში გაეხვია, დ. საღირაშვილი ხარკოვში გადაასახლეს, სადაც შევიდა უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე, მაგრამ 1915 წელს სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობის გამო ისევ დააპატიმრეს და გაგზავნეს ჯერ ბელგოროდში, შემდეგ ცარიცინში, სადაც მიუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. აქ დ. საღირაშვილი აირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ. მალე იგი პეტროგრადშია, მაგრამ დიდხანს გული არ დუდგა და სამშობლოში გამოეშურა. ! საქართველოს დამოუკიდებლობის დროს დ. საღირაშვილი სახალხო გვარდიის ერთ-ერთი მეთაური იყო. ამასთან ეროვნულმა მთავრობამ გრიგოლ ურატაძესთან ერთად სწორედ დავით საღირაშვილს მიანდო საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკება მოსკოვში, რის საფუძველზედაც ალიარა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტი. დავით საღირაშვილის წვლილი მთლიანად მივიწყებული იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში. მხოლოდ შარშან „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ჩემი წერილების სერიალი, რომელიც მიეძღვნა საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადების ისტორიას. ამ სერიალში საგანგებო ადგილი დაეთმო დავით საღირაშვილის ღვაწლს ზემოხსენებული ხელშეკრულების დადებაში.

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ დავით საღირაშვილი არ გაჰყოლია ემიგრაციაში დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას. იგი სამშობლოში დარჩა და იზიარებდა თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამს, მაგრამ მალე მეტეხის ციხეში აღმოჩნდა, სადაც 14 თვე დაჰყო. 1922 წელს სხვა 62 ქართველ პოლიტპატიმართან (ნოე ცინცაძე, კალისტრატე სალია, დავით ბუაჩიძე, გიორგი ნაკაშიძე, ვანო ალიხანაშვილი და სხვ.) ერთად დავით საღირაშვილი გაასახლეს გერმანიაში. უფრო ზუსტად კი, სურდათ მოსკოვში ან დაეხვრიტათ, ან გაეციმბირებინათ, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილმა ელჩმა გერმანიაში ვლ. ახმეტელმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ გაეკეთებინა ვიზა-ლაქო ავიაციის სამმართველოშიც არ გამოილევა!), თუმცა, ვაშინგტონამდე ბილეთი მაინც ვერ ვიშოვნე. ნიუ-იორკზე უნდა დავთანხმებულიყავი, — იქიდან კი ჩემი კეთილი მასპინძლების იმედით ვაშინგტონში ჩავიდოდი...

და აი, 4 აგვისტოს მოსკოვიდან ნიუ-იორკს გავფრინდი, კენედის აეროპორტში უკვე მელოდნენ მასპინძლები —ბატონი შოთა საღირაშვილი, ქალბატონი ნათელა ჩაჩიბაია და როდამ ცომაია...

შოთა საღირაშვილი გახლდათ პირველი ქართველი, რომელსაც ამერიკის მიწაზე ხელი ჩამოვართვი. ამიტომაც ამერიკელ ქართველებზე საუბარს სწორედ მისგან დავიწყებთ...

1. შოთა საღირაშვილი

თბილისელებს ალბათ კარგად ახსოვთ 70-იანი წლების შუა ხანებში დიდუბეში მოწყობილი ამერიკული ფოტოგამოფენა, რომელსაც მეგზურობდა სიმპათიური ტანმორჩილი მამაკაცი და გამოფენაზე მოსულთ თავისი ქართულით ატკბობდა. ძნელი იყო გაგერჩია, დამთვალიერებლებს ამერიკული გამოფენის ექსპონატები უფრო ხიბლავდა თუ მისი „ცოცხალი ექსპონატი“ — ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი ბატონი შოთა საღირაშვილი!

ყველას აინტერესებდა, საიდან მოხვდა იგი ამერიკაში, საიდან ისწავლა ასე კარგად ქართული ენა, თუ ყავდა საქართველოში ახლობლები და ნათესავები... ერთი სიტყვით, თბილისში მაშინ ყველა მასზე ლაპარაკობდა.

მაგრამ, ერთ დღეს, რომელსაც მშვენიერს ვერაფრით ვერ დავარქმევ, თბილისში მეხივით გავარდა ხმა: ამერიკული გამოფენის ქართველი მეგზური სამშობლოს მოღალატის შვილი ყოფილა და სასწრაფოდ გასახლეს დედაქალაქიდანო.

— მაინც როგორ მოხდა ეს-მეთქი? — ვეკითხები ბატონ შოთას, მითუმეტეს, რომ უკვე მის მაქანანში ვისხედით და ნიუ-იორკიდან ვაშინგტონამდე საკმაო მანძილი გვქონდა გასავლელი.

— იმ დღესაც გამოფენაზე ჩვეულებრივ ხალხმრავლობა იყო, — გვიყვება ბატონი შოთა საღირაშვილი, — ოღონდ უცებ, დამთვალიერებლებს გამოეყო ერთი გუნდი, რომელიც ყვირილით, ხმაურით მომვარდა და მომთხოვა: მოღალატის შვილმა ეხლავე სამშობლო დატოვეო!

ამის მოგონებაზე იგი გაფითრდა და მთხოვა, — მეტს ნუღარ მომაყოლებ, ჩემზე კარგად იცი, მამაჩემი რა სამშობლოს მოღალატეც იყოო!

მართლაც, კარგად ვიცოდი, თუ ვინ იყო მამამისი — დავით საღირაშვილი და რა „ღალატიც“ ჰქონდა ჩადენილი სამშობლოს წინაშე, მაგრამ იმ გუნდის მონაწილენი და მათი ინსპირატორები, ალბათ, დღესაც არიან საქართველოში და ეფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ჩვენს მკითხველს ერთხელ კიდევ მოვუთხრო დავით საღირაშვილის შესახებ და დასკვნები დაე, თვითონ გამოიტანოს:

დავით საღირაშვილი საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. დაიბადა თბილისში 1887 წლის 15 იანვარს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩაება მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში. 1898 წელს გაეცნო იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს). იგი მოგვიანებით დაწერს მოგონებას „იოსებ ჯუღაშვილი-სტალინი, როგორც ისტორიული პიროვნება“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამოვქვეყნე ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ (1990, №7). 1908-1909 წლებში დ. საღირაშვილი მონაწილეობს სპარსეთის რევოლუციაში, რომელიც მიმართული იყო შაჰის წინააღმდეგ. 1910 წელს ირანიდან დაბრუნებული დ. საღირაშვილი მეფის ჟანდარმერიამ დააპატიმრა და მეტეხში ჩასვა, საიდანაც გადაიყვანეს დონისროსტოვის ციხეში. 1913 წელს პატიმრობიდან განთავისუფლებული დ. საღირაშვილი დაბრუნდა თბილისში და კვლავ ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. ვ. ახმეტელთან და ლ. დარჩიაშვილთან ერთად მან დააარსა სოციალ-დემოკრატიული მმართულების გაზეთი „ფიქრი“, რომელიც გამოდიოდა 1913-14 წლებში. 1914 წელს დ. საღირაშვილი კვლავ დაატუსაღეს და მეორედ ჩასვეს მეტეხის ციხეში.

როდესაც რუსეთი პირველი მსოფლიო ომის ალში გაეხვია, დ. საღირაშვილი ხარკოვში გადაასახლეს, სადაც შევიდა უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე, მაგრამ 1915 წელს სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობის გამო ისევ დააპატიმრეს და გაგზავნეს ჯერ ბელგოროდში, შემდეგ ცარიცინში, სადაც მიუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. აქ დ. საღირაშვილი აირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ. მალე იგი პეტროგრადშია, მაგრამ დიდხანს გული არ დუდგა და სამშობლოში გამოეშურა. ! საქართველოს დამოუკიდებლობის დროს დ. საღირაშვილი სახალხო გვარდიის ერთ-ერთი მეთაური იყო. ამასთან ეროვნულმა მთავრობამ გრიგოლ ურატაძესთან ერთად სწორედ დავით საღირაშვილს მიანდო საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკება მოსკოვში, რის საფუძველზედაც აღიარა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტი. დავით საღირაშვილის წვლილი მთლიანად მივიწყებული იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში. მხოლოდ შარშან „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ჩემი წერილების სერიალი, რომელიც მიეძღვნა საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადების ისტორიას. ამ სერიალში საგანგებო ადგილი დაეთმო დავით საღირაშვილის ღვაწლს ზემოხსენებული ხელშეკრულების დადებაში.

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ დავით საღირაშვილი არ გაჰყოლია ემიგრაციაში დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას. იგი სამშობლოში დარჩა და იზიარებდა თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამს, მაგრამ მალე მეტეხის ციხეში აღმოჩნდა, სადაც 14 თვე დაჰყო. 1922 წელს სხვა 62 ქართველ პოლიტპატიმართან (ნოე ცინცაძე, კალისტრატე სალია, დავით ბუაჩიძე, გიორგი ნაკაშიძე, ვანო ალიხანაშვილი და სხვ.) ერთად დავით საღირაშვილი გაასახლეს გერმანიაში. უფრო ზუსტად კი, სურდათ მოსკოვში ან დაეხვრიტათ, ან გაეციმბირებინათ, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილმა ელჩმა გერმანიაში ვლ. ახმეტელმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ გაეკეთებინა ვიზა-ლაქო ავიაციის სამმართველოშიც არ გამოილევა!), თუმცა, ვაშინგტონამდე ბილეთი მაინც ვერ ვიშოვნე. ნიუ-იორკზე უნდა დავთანხმებულიყავი, — იქიდან კი ჩემი კეთილი მასპინძლების იმედით ვაშინგტონში ჩავიდოდი...

და აი, 4 აგვისტოს მოსკოვიდან ნიუ-იორკს გავფრინდი, კენედის აეროპორტში უკვე მელოდნენ მასპინძლები —ბატონი შოთა საღირაშვილი, ქალბატონი ნათელა ჩაჩიბაია და როდამ ცომაია...

შოთა საღირაშვილი გახლდათ პირველი ქართველი, რომელსაც ამერიკის მიწაზე ხელი ჩამოვართვი. ამიტომაც ამერიკელ ქართველებზე საუბარს სწორედ მისგან დავიწყებთ...

ვახტანგ პეტრიაშვილი



მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ბეჭდვითს სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, 1939 წლიდან სკკპ წევრი ვახტანგ ანდრიას ძე პეტრიაშვილი.

3. პეტრიაშვილი დაიბადა 1918 წელს ლაგოდეხში. 1936-1948 წლებში კომკავშირულ სამუშაოზე იყო, ომის რამდენიმე წელს ამიერკავკასიის ფრონტისა და ოლქის პოლიტსამმართველოს ინსტრუქტორად მუშაობდა.

1949 წელს ვ. პეტრიაშვილი გადადის პარტიულ სამუშაოზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიის თბილისის პირველი (ბაისის რაიკომის პირველ მდივნად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოებისა და პარტიულ-ორგანიზაციული განყოფილებების გამგის მოადგილედ.

1955-1957 წლებში იყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი და კოლეგიის წევრი. 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ვ. პეტრიაშვილი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ბეჭდვითს სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარ სამმართველოში. 1985 წელს იგი ინიშნება სამმართველოს უფროსად.

3. პეტრიაშვილი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

თავისი საქმიანობის ყველა უბანზე ვახტანგ პეტრიაშვილი თავს ავლენდა როგორც პატიოსანი, პრინციპული, კომპეტენტური მუშაკი, რამაც მაღალი ავტორიტეტი მოუპოვა კოლეგებს, ამხანაგებსა და მეგობრებს შორის. ვ. პეტრიაშვილი ბევრ ძალ-ღონეს და ყურადღებას ახმარდა ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებას, დაუშურველად უზიარებდა მათ თავის ცოდნასა და გამოცდილებას.

ვახტანგ ანდრიას ძე პეტრიაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ბ. ბუმბარიძე, ნ. ჭითანავა, ვ. ბურბენიძე, ვ. ლორთქიფანიძე, ბ. თალაკვაძე, ვ. ბოლდირევი, რ. ლლონი, ხ. ბერულავა, ბ. ბერიძე, ზ. გოგაურთელი, ვ. კეფალავა, ბ. ნაჭუებია, მ. უბრეხელიძე.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მგზავრობა

ოჯახის დაგეგმვის, აბორტების წინააღმდეგ ბრძოლის, კონტრაცეპტიფების გამოყენების საკითხებს განიხილავენ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნა თბილისში. იგი მოაწყვეს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ერთდროულ სახელობის ადამიანის გამრავლების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. თბილისის შეხვედრის მოწყობაში აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ეაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის დაგეგმვის საკითხთა ფონდი, ფედერბისა და ბაბმის საერთაშორისო ფედერაცია, სხვა წარმომადგენლობითი საერთაშორისო ორგანიზაციები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ დაახლოებით 40 ქვეყნის წარმომადგენლები — თვალსაჩინო მეცნიერები, კლინიცისტები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორები, სოციოლოგები. მათ უნდა შეიმუშაონ ქალის ჯანმრთელობისათვის დიდად საზიანო აბორტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული რეკომენდაციები, პროპაგანდა გაუწიონ კონტრაცეპტიფიული საშუალებების გამოყენებას.

განხილული პრობლემების მნიშვნელობის სათანადოდ შეფასება ძნელია, — უთხრა საქმინფორმის კორესპონდენტს ევროპის შტაბ-ბინის დირექტორმა ჯო ასვალმა. — მათ არა მარტო სამედიცინო, არამედ უდიდესი სოციალური მნიშვნელობაც აქვთ, უწინარეს ყოვლისა თქვენი ქვეყნისათვის, რომელიც აბორტების რიცხვით ლიდერობს მსოფლიოში.

— **რატომ გადაწყდა ეხლოდენ წარმომადგენლობითი შეხვედრის ხაჭართველოში მოწყობა?**

— კონფერენცია მუშაობს თბილისის ადამიანის გამრავლების ინსტიტუტის ბაზაზე. ეს ინსტიტუტი ერთადერთია ევროპაში ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 54 ცენტრიდან. ჩვენ ვირჩევთ მათ ტექნიკური პოტენციალისა და სამეცნიერო კოლექტივების შესაძლებლობათა გათვალისწინებით. უნდა ითქვას, რომ ამ სამედიცინო სამეცნიერო დაწესებულებაში წარმოებული გამოკვლევები მაღალი დონით გამოირჩევა. მინდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ თბილისის ინსტიტუტი არა მარტო ამ კონფერენციის მოწყობის, არამედ საქართველოში და საბჭოთა კავშირში, ოჯახის დაგეგმვისა და აბორტების წინააღმდეგ ბრძოლის მთელი რიგი პროგრამების ინიციატორია. ახლა სსრ კავშირში შეუდგნენ ოჯახის დაგეგმვის ფართო პროგრამის დაგეგმვის ორგანიზაციის მონაწილეობით.

* * *

თბილისის შეხვედრის გახსნის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია. ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილემ, მოსახლეობის დაგეგმვის საკითხთა ფონდის ხელმძღვანელმა ნაფის სადიმა, პროფესორმა ერიკ ასვალმა, მშობადობის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაციის ევროპის სექციის ხელმძღვანელმა იანგ ეგერმა, ადამიანის გამრავლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა არჩილ ხომასურიძემ და კონფერენციის სხვა მონაწილეებმა.

(საქინფორმი).

ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით

**ბატონი შოთა საღირაშვილი ბოლო-ოდ ოცი წლის განმავლობაში ამერიკელ ქართველებს ორ-სამ ადგილას ერთად ერთხელ ნახავ. ეს ადგილები ასეთია: ერთ-ერთ ასეთ ადგილად ითვლება ბატონ ალექსანდრე ბერიძის ოჯახი. ბატონ ალექსანდრეს ოჯახში ერთ-ერ

ინთეგა რამპის ჩირაღდნები

ხელოვნის თვითგამოხატვის უფლება

ხვალ, 14 ოქტომბერს მორიგ თეატრალურ სეზონს ხსნის თბილისის საერო თეატრი, რომელსაც მაყურებელი ადრე „მეტეხის თეატრის“ სახელით იცნობდა. საერო თეატრი ახალ შენობაში, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, პოლიტგანათლების სახლში იწყებს მუშაობას. ჩვენ შევხვდით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და ვთავარ .ეჟისორს, საქართველოს სახალხო არტისტს სანდრო მრევლიშვილს. აი რა თქვა მან:

— მგონი დასრულდა ჩვენი თეატრის კოლექტივის კარდაკარ სიარული. ახალ შენობაში დავიდეთ ბინა, მაგრამ საბოლოოდ ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის, თუმცაღა ისიც მინდა აღვნიშნო, რომ პოლიტგანათლების სახლის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს საამისოდ, ჩვენი თეატრის ამ შენობაში ყოფნას რომ შეეწყოს ხელი. საერთოდ, ეს გარემო იდეალურად მიმაჩნია. თეატრისათვის გვექნება ორი სცენა, დიდი, ხუთას მაყურებელს დაიტევს, მცირე კი — ას ოცს. არქიტექტორებთან შეთანხმებით მცირე შიდასაკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შედეგად იგი უფრო მოსახერხებელი გახდება მომავალში.

აქვე მინდა გავიხსენო, რომ იმ დროს, როცა ქართულ ენას ცუდად ქონდა საქმე, ერთადერთ .ა.წესებულება იყო თეატრი, რომელიც ქართული სიტყვის ციტადელად რჩებოდა. ვინ იცის, რა გველის მომავალში, რაც უფრო მეტ ციხე-სიმაგრეს ავაგებთ ქართული ენის საასპარეზოდ, მით უფრო სულით ძლიერნი ვიქნებით. აქედან გამომდინარე ეჭვმიუტანელ, არასაჭოჭმანო ფაქტად მიმაჩნია პოლიტგანათლების სახლის შენობაში ქართული თეატრის დაფუძნება. ყველა, ვინც ამას ხელს შეუწყობს, ეროვნული კულტურის აღმშენებლობის მონაწილედ ჩაითვლება.

უნებლიე ტყუილი გამომივიდა გაზეთ „თბილისის“ მკითხველებთან, როდესაც განვაცხადე, რომ ახალ სეზონს 2 ოქტომბერს ვხსნით, მაგრამ როგორც ხედავთ ორი კვირით გადაინია სეზონის გახსნამ. ამის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ ვერ ვიშოვეთ შავი საღებავი სცენის ფიცარნაგის შესაღებად. საღებავზე ვამბობ თორემ, სხვა რა არ გვიჭირს, ვერ ვშოულობთ ვერც ხის მასალას, ვერც ქსოვილებს. თუ ამას მოუნესრიგებელ ფასნარმოქმნასაც მივუმატებთ, ადვილი წარმოსადგენია რა დღეში ვიქნებით თეატრები.

სეზონს გავხსნით რევაზ მიშველაძის „უფანდურად სამღერით“, მაგრამ ამჯერად ეს სპექტაკლი სამმოქმედებიანად გადაკეთდა და სახელად „ტვირთი“ დავარქვით. ჩემი აზრით, რევაზ მიშველაძე ის ავტორია, რომელიც მიუხედავად მის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებისა, აქტუალობის ალესილ პირზე გადის თავისი ნაწერებით. ჩვენი თხოვნით ბატონმა რეზომ გარკვეული კორექტივი შეიტანა ორ ერთაქტიან პიესაში და შექმნა მესამე ერთაქტიანი პიესაც — ამას ნოველა „მავზოლეუმი“ უდევს საფუძვლად. მესამე მოქმედება დიალოგს წარმოადგენს ვ. ი. ლენინთან. არ მინდა, რომ იაფფასიან კონიუნქტურაში ჩამოგვართვას ვინმემ, მაგრამ ჩვენ ამჯერადაც ვცდილობთ, რომ საინტერესონი ვიყოთ სწორედ დღეს. არცერთ პუბლიცისტურ წერილს არ შეუძლია ის, რაც სცენიდან ნათქვამ მხატვრულ სიტყვას ძალუძს. სპექტაკლში ახალი ინტონაციები შემოიტანა კომპოზიტორ გომარ სიხარულიძის მუსიკალურმა გაფორმებამ. მან მოიძია და გამოიყენა გურული ხალხური სიმღერები ლენინზე — ამ სიმღერებში ერთბაშადაა აპოთეოზიც, წინასწარმეტყველებაც მისი პიროვნების მიმართ.

უახლოეს ხანში ორ პრემიერას შევთავაზებთ მაყურებელს, რეჟისორი კანდიდ გურგენიძე დგამს დავით ერისთავის „სამშობლოს“, გურამ რჩეულიშვილის „მარინას“ კი რეჟისორი თენგიზ კოშკაძე განახორციელებს.

ბევრი მითქმა-მოთქმა გამოინვია ჩვენმა „იესო ნაზარეველმა“ გასულ სეზონში. თავის დროზე ამ სპექტაკლით გაგულისებულ ოპონენტებს კამათში არ ავყევით, რადგან მათი პოზიცია უსუსურად და არაქრისტიანულად მიგვაჩნია. ძირითად საბუთად ჩვენს მოდავეებს დიდი სჯულის კანონი მოაქვთ. თუმცაღა, მადლობა ღმერთს, ყოველდღიურ საქმიანობაში ჩვენი სამღვდელოება დიდი სჯულის კანონის არაერთ პუნქტს არღვევს. მაგალითად, თუნდაც სპორტული ღონისძიებების ან ფილმ „იესო ნაზარეველის“ ლოცვაკურთხევა, ან ტელევიზიის საშუალებით ქადაგება. ვთვლი, რომ ქრისტიანობა საერთოდ, და განსაკუთრებით მართლმადიდებლობა, ყველაზე ჰუმანური და ყველაზე ღვთისნიერი რწმენაა, მას არავითარი დოგმა არ ესადაგება. ჩემს ოპონენტებს ვთხოვ ნუ მომახვევენ თავს ეკუმენიზმისა და ბაპტიზმის გარშემო დემაგოგიურ მსჯელობას. მომაჩნია, რომ საბედნიეროდ ქართველი ხალხი განათლებულია ეკლესიური თვალსაზრისით და შავის და თეთრის გარჩევა შეუძლია.

ბიდიშს ვიხდი, რომ მრავალსიტყვიანი ვარ ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ იმდენად დიდია ტკივილი ყველაზე ხელშეუხებლის ხელყოფის მიმართ, იმის მიმართ რასაც ხელოვნის თვითგამოხატვის უფლება ჰქვია, რომ სხვაგვარად არ შემეძლო. დროა, ყველამ შეიგნოს ეს, ერმაც და ბერმაც!

ესაუბრა

გიორგი ლალიაშვილი.

კონცერტის წინ. მარინე უტიაშვილის ფოტო.

დრო გარბის

ქალბატონი მერი, საგუნდოსადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტი, ხალხურ ისტრუმენტებზე დაკვრას შინ სწავლობდა. მაშინ ვაჟიშვილი დათო სულ პაწაწინა ჰყავდა. უყურადღებოდ დატოვებულ ისტრუმენტებს პატარა ინტერესით ათვალიერებდა. შემდეგ სალამური შეარჩია და სამუდამოდ დაიმეგობრა კიდეც.

შვიდი წლის თადო მშობლებმა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში მიიყვანეს და ფოლკლორულ ანსამბლ „საუნჯის“ ხელმძღვანელს გოგი ნადირაშვილს მოასმენინეს. შემდეგ 21-ე სამუსიკო სკოლაში სასულე ინსტრუმენტების პედაგოგს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ნოდარ ხოფერიას მიაბარეს. აი, ასე მიდიან წლების მანძილზე შეგირდი და ოსტატი კონცერტმეისტერ ვლადიმერ ზურაბიშვილთან ერთად. დათო დღეს მეორე მუსიკალური ტექნიკუმის მეორე კურსის სტუდენტია.

ასაკის მიუხედავად (იგი 16 წლისაა), დათო ოძელაშვილმა თავისი სიტყვა უკვე თქვა რესპუბლიკის თანამედროვე კლასიკურ სცენაზე. საზოგადოებრიობას ახსოვს, როგორ შეასრულა 12 წლის ყმაწვილმა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში შუბერტის, ბახის, მოცარტის, რიმსკი-კორსაკოვის, გლიუკისა და სხვათა ნაწარმოებები, ხოლო 1987 წელს მოსკოვის კონსერვატორიასთან არსებულ გნესინების სამუსიკო სკოლაში საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების ლაურეატთან, 13 წლის ოლეგ იეშევიკოვასთან ერთად ექსპრომტად შეასრულა ჩიმაროზას კონცერტი.

გადიოდა წლები... თანდათან ფართოვდებოდა საგასტროლო თუ საკონკურსო ქალაქებისა და ქვეყნების გეოგრაფია, დაუვინყარი გამოდგა მისთვის 1989 წლის დეკემბერს ქალქ რიგაში მევიოლინე ლექსო ჩუბინაშვილთან ერთად გამართული სოლო კონცერტი, რის შემდეგ დათო ბალტიისპირეთში მცხოვრებ ქართველებთან მიიწვიეს. აქ მან საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარა, ასევე მნიშვნელოვანია მისთვის, ქალაქ მასიკნრიკირხენში საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა, სადაც ყველაზე ახალგაზრდა შემსრულებლად გამოცხადდა.

მუსიკის გარდა დათოს სპორტშიც აქვს გარკვეული წარმატებები, იგი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორია ჩოგბურთში...

კეთილ, მომხიბვლელ ყმაწვილ კაცს წინ დიდი ცხოვრების გზა აქვს. მას მიაჩნია, რომ სიძნელეებს მუსიკასთან მეგობრობით დაძლევს, ესაა მხოლოდ, ფლეიტასთან ერთად გიტარის, საქსაფონისა და დასარტყმელი ინსტრუმენტების დაუფლება დაუსახავს მიზნად, თუმცა მთავარ სიურპრიზს ჯერაც საიდუმლოდ ინახავს დათო ოძელაშვილი.

ია კალანდარიშვილი.

ნაბიჯი თავისუფლებისაკენ

ხევსურეთის მთისა და ბარის გაერთიანებულ ყრილობაზე

დუშეთის რაიონის ხოფელ ბარისახაში გაიმართა ხევსურეთის მთისა და ბარის მოსახლეობის გაერთიანებული ყრილობა. დიდი ხანია აქ ამდენი ხალხი არ შეკრებილა. ყრილობა მიეძღვნა ხევსურეთის სათემო საბჭოების შექმნასა და მთავრობის ოფიციალური დადგენილების საფუძველზე მიწის სათემო მფლობელობაში გადაცემასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს.

ყრილობაზე მოვიდნენ ხევსურეთის ძველი თემების, მთისა და ბარის მცხოვრებნი, რესპუბლიკის სამინისტროებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რაიონების ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები, თემთა საბჭოს მხარდამჭერი საზოგადოება, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირნი.

ფართო საზოგადოებრიობა დაინტერესა ხევსურეთში ისტორიული ნაცადი ფორმების აღდგენისა და სათემო საბჭოების შექმნის პროცესმა. აქაური მიწა-წყლის კერძო და სათემო მფლობელობაში გადაცემის, თემის საბჭოსა და თემთა დარბაზის მუშაობის ორგანიზაციულმა საკითხებმა.

ყრილობაზე სამართლიანად ითქვა, რომ ეს საქართველოს გაუკაცრიელებული მთის შესავსებად და გასაძლიერებლად გადადგმული ნაბიჯებია.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა თემთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი წიკლაურმა. მან ქმაყოფილებით აღნიშნა, რომ თემთა საბჭო ხევსური ინტელიგენციის ცდით შეიქმნა, მათ მიერ შემუშავებული პროგრამა კი თვითმმართველობის რეალურ იდეას შეიცავს.

შეკრებაზე გამოვიდნენ ადგილობრივი მკვიდრნი და მოწვეული სტუმრები: საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე კოტე გაბაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ ონნანი, პროფესორები რამინ რამიშვილი და მიხეილ ღოღობერიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი არაბული, უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრი მზექალა გინჭარაული-ქარხელაძე, კინორეჟისორი რეზო ესაძე, მწერალი კობა არაბული, ჰელსინკის კავშირის წევრი გურამ მაჭაკარია, აგრომშენის უფროსის მოადგილე ივანე გოგელია, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის წევრი არჩილ წვიმიტიძე, ადგილობრივი და გარედან მოსული ხევსურები: ღვთისო არაბული, ნადირა ლიქოკელი, ნადირა ქეთელაური და სხვები.

დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ავთანდილ თეთრუაშვილმა ყრილობას გააცნო ხევსურეთის თემთა საბჭოს შექმნის თაობაზე მინისტრთა საბჭოს დადგენილება ხევსურეთის ეკოლოგიური გაჯანსაღების, დემოგრაფიული სიტუაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

ყრილობის ერთ-ერთი აქტიური თემა იყო თემთა საბჭოს 1991 წლის წლიური ბიუჯეტი, საზაფხულო საძოვრების გამოყენება, ბუნების დაცვა, წესრიგის დამცველი ორგანოს შექმნა, გაზეთის რედაქციის ჩამოყალიბება, სამუშაო ჯგუფის დაარსება და სხვა.

ხევსურეთის სათემო საბჭომ შექმნა თავისი ეკონომიკური ხსნის პროგრამა, მეურნეობის აღდგენის საფუძვლად კი ხევსურეთის ისტორიულ მიწა-წყალზე სათემო-სახალხო საკუთრება დაიწესა.

ამ რეგიონში საზაფხულო საძოვრებზე ცხვარსა და საქონლის ძოვება უნდა შეიძლებოდეს მხოლოდ სათემო საბჭოსთან შეთანხმებით და მთელ ეკოლოგიას მკაცრი კონტროლი დაუწესდეს.

იზა ჯაფარაძე,
ჩვენი სპეც. კორ.

ახალი საშაჭრო ცენტრი

ფოთში ნაბადას უბანი ერთ დროს ჭაობის საფფლო იყო. საცხოვრებლად აქ იშვიათად თუ მოაშურებდა ვინმე. ფაქტიურად ამ უკაცრიელ გარემოში ჯერ კოლხეთის სატყეო მეურნეობამ ჩაუყარა საფუძველი საშვილიშვილო საქმეს — ეკალიპტების თვალწარმტაცი ხეივანი გააშენა. შემდეგ თანდათან თავად ნაბადა გადაიქცა ქალაქის სამრეწველო და სამშენებლო ცენტრად, მოსახლეობაც მკვიდრად დასახლდა აქ და, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა მათი საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების პრობლემების დროული გადაჭრის საკითხი.

ამ მიმართულებით ადრეც გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ იგი საკმარისი როდი აღმოჩნდა. და აი, მწყობრში ჩადგა ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო ცენტრი, სადაც გაიხსნა სასურსათო, სამეურნეო, ავეჯის, კულტსაქონლის, მზა ტანსაცმლის, ტრიკოტაჟისა და სხვა სექციები. გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების გახყოფილებებიც.

სავაჭრო ცენტრმა პირველსავე დღეს მომხმარებელს მიაწოდა მდიდარი ასორტიმენტი.

ამჟამად მომხმარებელი კმაყოფილია, სავაჭრო ცენტრის მუშაკებს კი სამერმისოდაც ენერგიული მუშაობა მართებთ.

„გზა ერთობისა“

-ამ სახელწოდებით ქართულ პრესას შეემატა ყოველთვიური თექვსმეტგვერდიანი გაზეთი, რომელის პირველი ნომერი მიეძღვნა გიორგი ჭყონდიდელის 900 წლისთავს და სამეგრელოს ისტორიულ სიძველეს. გაზეთის ბევრი საინტერესო პუბლიკაცია თავისი თემატიკით, ისტორიული რაკურსებით, დღევანდელობის სუნთქვით მოწმობს, რომ მისი პირველი ნაბიჯი საიმედოა. „გზა ერთობისა“ მომავალში ძირითადად გააშუქებს საქართველოს კულტურის, განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. რედაქტორია ალარა აბრამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო პირველობა ჩადრაკში

სატურნირო ცხრილი — ნამდვილი თავსატეხი

ორიოდე დღეც და, პრეტენდენტთა შეჯიბრება დამთავრდება მიუხედავად ამისა, მდგომარეობა უკიდურესად ბუნდოვანია და სატურნირო ცხრილი ნამდვილ თავსატეხად იქცა.

მეხუთე ტურში, ბოლოს და ბოლოს, შეჩერდა გალიამოვას ტრიუმფული სვლა. ეს შეფერხება მაინც უმნიშვნელოა. რადგან, იოსელიანთან წაგების მიუხედავად, ყაზანელი მოჭადრაკე კვლავ ინარჩუნებს წამყვან პოზიციას. იოსელიანი თეორებით რთული თამაშისაკენ მიისწრაფოდა, მხოლოდ ამ პარტიის მოგების შემთხვევაში ეძლეოდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს პირველ-მეორე ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობა. უნდა ითქვას, რომ ნანამ ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა. გალიამოვა ტაქტიკურ მარწუხებში მოექცა. თეორების ფიგურები სულ უფრო ხელსაყრელ პოზიციებს იკავებდნენ, რასაც ბოლოს მატერიალური უპირატესობაც მოაყვა, და გალიამოვამ შეწყვეტა წინააღმდეგობა.

გაფრინდაშვილმა, ძველინდური დაცვის წინააღმდეგ, რომელიც სი ჟუნმა აირჩია, ერთ-ერთ პოპულარულ ვარიანტს, მიმართა, რომელიც დიდოსტატ ავერბახის მიერაა დამუშავებული და მისივე სახელს ატარებს. თეორები თავიდანვე შეეცადნენ ინიციატივის დაუფლებას მეფის ფრთაზე და როჭზეც კი თქვეს უარი. უნდა ითქვას, რომ სი ჟუნი, რომლის თამაშის სტილს ამ ტურნირამდე თითქმის არავინ იცნობდა, ნამდვილი „კერკეტი კაკალი“ გამოდგა. გაფრინდაშვილს დასაწყისში კარგი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ჩინელმა ხარისხის შეწირვით გაამწვავა ბრძოლა. ციტნოტში თეორები უზუსტოდ თამაშობდნენ და ბოლოს მძიმე ენდშპილი მიიღეს. ეს სი ჟუნის მესამე გამარჯვებაა ზედიზედ. მან ტურნირი წაგებით დაიწყო, ახლა კი გალიამოვას დაეწია. პეშმარიტად მოულოდნელი შედეგია! ახმილოვსკაია-დონნალდსონი ყაიმზე შეუთანხმდა მარჩს და ჯახიანმაც ასეთივე შედეგით დაამთავრა შეხვედრა კლიმოვა-რიპტროვასთან.

ახლა შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავს: 3,5 ქულა მოაგროვეს გალიამოვამ და სი ჟუნმა, რომელთაც პირველი-მეორე ადგილებისათვის ბრძოლის საუკეთესო შესაძლებლობები აქვთ, თუმცა, იმედს არც იოსელიანი კარგავს. მას 3 ქულა აქვს და ბოლო ტურში თეორებით ეთამაშება სი ჟუნს. შკვეთრად გაუარესდა გაფრინდაშვილისა და მარჩის მდგომარეობა. მათ ახლა 2,5 ქულა აქვთ და დარჩენილ ტურებში მხოლოდ მაქსიმალური შედეგი აძლევთ ხელს, თანაც ბოლო ტურში ხვდებიან ერთმანეთს. ახმილოვსკაია-დონნალდსონმა 2 ქულა მოაგროვა, ჯახიანმა და, კლიმოვა-რიპტროვამ — 1,5—1,5. მათ თეორიული შანსიც კი აღარა აქვთ, მაგრამ სხვებისთვის ხელის შეშლა ნამდვილად შეუძლიათ.

გივი გამრეკელი.

ბორის პაიჭაძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 14 და 15 ოქტომბერს 19 საათზე განსვენებულის ბინაში, ილია ჭავჭავაძის პროსპექტი, № 39, I სადარბაზო.

16 ოქტომბერს სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება რესპუბლიკის ეროვნულ სტადიონზე 12-14 საათზე. სამგლოვიარო მიტინგი დაიწყება 14 საათსა და 30 წუთზე. გამოსვენება — 15 საათზე.

დაკრძალვა — საბურთალოს სასაფლაოზე.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 9 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ საარჩევნო ბიულეტენის ტექსტში, რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, დაშვებულია შეცდომები, ნაცვლად „საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტიისა“ უნდა იყოს „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია“, ხოლო ნაცვლად „ლიბერალურ-დემოკრატიული კავშირისა“ უნდა იყოს „ეროვნულ-ლიბერალური კავშირი“.

• • •

14 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს კომუნისტური პარტიის სიაში №83 კანდიდატის — ლორეკ ბესარიონის ძე **მარშანიას** თანამდებობა უნდა იკითხებოდეს ასე: ... მართვის ინსტიტუტის რექტორი; შემდეგ, როგორც ტექსტში.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი რგბგბვრდიანია.

რედაქტორის მოადგილე ნოდარ ჯაველიძე.

9 აპრილს მოწამლულის, 22 წლის სამედიცინო ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტის ზვიად ქასრაშვილის ჯანმრთელობა გადაუდებლად ითხოვს საზღვარგარეთ მკურნალობას. ავადმყოფის სახელზე საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რესპუბლიკურ ბანკში გახსნილია ანგარიში, ნომრით: 70000. ჩვენს ფულზე გადარიცხვა კი იწარმოებს ასე: ღვთისშვილთა კავშირი „ინვალიდთა ასოციაცია“, ანგარიშის № 000700448 (ზვიად ქასრაშვილი სათვის).

ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ვალუტა, ვთხოვთ დაეხმარონ 9 აპრილს მოწამლულ ავადმყოფს.

სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითის სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი

ვასტანგ ანდრიას ძე პეტრიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს ჭირისუფალთ.

საპირგზოროტო პროგნოზი

იქნება თუ არა სათბობის დეფიციტი?

ყველა შესაძლო დეფიციტიდან სათბობის ნაკლებობა, ალბათ, ყველაზე საგრძნობ გავლენას ახდენს სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მუშაობაზე. მის დეფიციტს შეიძლება მოჰყვეს სამრეწველო საწარმოთა გაჩერება, სახლებში ტემპერატურის დაცემა...

— როგორი სიტუაციაა საქართველოში საზამთროდ სათბობის მარაგის მხრივ?

ამ კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა სახელმწიფო კონცერნის „საწვავთობპროდუქტების“ თავმჯდომარეს გერმანე ბერძენიშვილს:

— ჩვენთან მთავარი სათბობია მაზუთი. ოქტომბრის დამდეგისთვის უკვე შემოზიდულია დაახლოებით ნახევარი მილიონი ტონა მაზუთი. რესპუბლიკაში არსებული სათბობის შესანახი ტევადობანი შეადგენს 541 ათას ტონას. ასე რომ, სულაც არ არის ცუდი მდგომარეობა. მაგრამ გვაწუხებს სხვა რამ. მრავალი საწარმო, მათ შორის ისეთი დიდი საწარმოები, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული, ზესტაფონის ფერომანგანუმობა, ავჭალის, ხაშურის და ბორჯომის მინის ქარხნები, მთელი რიგი თბომეურნეობანი არ ფიქრობენ იმაზე, რომ შეიქმნან საკმარო მარაგი. მათ არ გააქვთ სათბობი, არ აფართოებენ შესანახ ტევადობებს. არადა, ზამთარში ხომ ამან შეიძლება სერიოზულად ჩაშალოს მუშაობა.

— როგორ არის რესპუბლიკის ბენზინით უზრუნველყოფის საქმე?

— სიტუაციაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ბენზინის გასაწყობ სადგურებთან ჩამწკრივებული რიგებით. თუ ყურადღება მიაქციეთ, უკვე რამდენიმე დღეა, რაც რიგები მკვეთრად შემცირდა. ავტომობილის ბენზინი რესპუბლიკაში ასე თუ ისე რიტმულად შემოდის. კრიზისი კი ნამდვილი იყო. იგი რომ დაგვიძლია, მიმწერდეს საწარმოებში რამდენიმე ჩვენი წამყვანი სპეციალისტი გავგზავნეთ და ადგილზე გავარკვიეთ მიწოდებათა ჩაშლის მიზეზები, და ძირითადად ისინი აღვკვეთეთ კიდეც. თუმცა, რა თქმა უნდა, საერთოდ ბენზინის დაკლებული ოდენობით მოწოდება ვერ მოვსპეთ. იგი ძალზე დიდია. წლის დამდეგიდან რესპუბლიკას დააკლდა 100 ათას ტონაზე მეტი ბენზინი, რაც მისი მოთხოვნილებების ყოველთვიურ ნორმას შეადგენს.

— მაშასადამე, ამიერიდან შეიძლება ვიმსჯელოთ მდგომარეობის სტაბილიზაციის იმედი?

— ამას ვერ დაგპირდებით. ყველაფერი დამოკიდებული იქნება მთლიანად ქვეყანაში საერთო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე. თუ საჭირო გახდა, მივმართავთ ბარტერულ გარიგებებს, რომლებიც უფრო პოპულარული ხდება. ვფიქრობთ, დავაწესოთ ბენზინის სახელშეკრულებო ფასებიც, მაგრამ აქვე მინდა ვთქვა, რომ ამ ფასებით შევისყიდით ბენზინს მხოლოდ სახელმწიფო შეკვეთის გადამეტებით, რომელიც დღეისათვის მილიონ 300 ათას ტონას შეადგენს.

— თქვენთან საუბარში არ შეიძლება არ შევეხო ისეთ მწვავე საკითხს, როგორიც არის ბენზინის ბარიხა...

— დიახ, აქ მრავალი პრობლემაა, რომელთა გადაჭრა არცთუ ისე იოლია. ეს დიდი ბეჭობის თემაა, რომელსაც აუცილებლად დაკუბრუნდებით რამდენიმე ხნის შემდეგ. ჯერჯერობით კი მინდა აღვნიშვნათ, რომ ახლად შექმნილი კონცერნის ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა აღმოფხვრას ამ დარგში დღეს არსებული ნეგატიური მოვლენები. მაგრამ ამისათვის გვჭირდება მოსახლეობისაგან, როგორც ახლა ამბობენ, „ნდობის კრედიტი“. ჯერჯერობით კი, ვგრძნობ, იგი არ არის. არიან ადამიანები, რომლებსაც ხელს აძლევს შეფერხებანი მომარაგებაში. ისინი კონცერნის შენობასთან აწყობენ პიკეტებს. ავრცელებენ ჭორებს, თითქოს ბენზინიანი ცისტერნები „უკან დაგვებრუნებინოს“. ყოველივე ეს ხელს არ უწყობს მუშობის სტაბილიზაციას და არეულ-დარეულობას ქმნის. დამეთანხმებით, სწორედ ასეთ პირობებში უფრო ადვილია ბნელი საქმეების ჩადენა სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერ დარგში, კერძოდ ჩვენთანაც.

ალა კოკაია.
საქინფორმის კორ.

ISSN—0132—6899

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია გამოდის წელიწადში ოთხჯერ. მის ფურცლებზე თანამშრომლობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერები.

ჟურნალში იბეჭდება სტატიები საქართველოს და მსოფლიო ისტორიის საკითხებზე, სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევები ძველი ცივილიზაციების ახალ აღმოჩენებზე, ისტორიული მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებზე, ეწყობა სამეცნიერო დისკუსიები საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე, შუქდება ქართველი ხალხისა და მისი მეზობელი ხალხების ისტორიული ურთიერთობანი. განყოფილებაში „ახლო წარსულის ფურცლები“ ქვეყნდება ახლადმოპოვებული საარქივო მასალა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთა მოგონებები, რომლებიც ძვირფას წყაროს წარმოადგენენ მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის ობიექტურად შესწავლისათვის.

ჟურნალში სისტემატურად ქვეყნდება ეთნოგრაფიული ნარკვევები საქართველოს ისტორიის შესახებ და სამეცნიერო წერილები ქართული ხელოვნების ისტორიაზე. იბეჭდება რეცენზიები როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ გამოცემულ მონოგრაფიებზე, ინფორმაცია სხვადასხვა სიმპოზიუმების და კონფერენციების მუშაობის შესახებ.

ჟურნალის ინდექსი 76197. საცალო ფასი 2 მან., ხოლო წლიური ფასი 8 მან. მისი გამოწერა შეიძლება „სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკური სააგენტოს მეშვეობით.

ტელევიზია—შაბათი, 13 ოქტომბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.00 — ათლეტიზმი. 10.20 — დოკუმენტური ფილმი „ქაიხსრო ჩოლოყაშვილი“. 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.30 — სოფლისა და ქვეყნის სატკივარი. 12.00 — „ჩვენი ჯაჯლუები“ (გამეორება). 13.10 — „სიტყვა საქართველოზე“. 14.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.15 — ქორეოგრაფია ყრილობის წინ. 14.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.00 — საინფორმაციო გამოშვება. 15.10 — საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა. 15.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.45 — „მუსიკალური შეხვედრები“. 16.50 — „გვირაბგამყვანები“. 17.10 — ხელოვნების ლექტორიუმი. XVII საუკუნის პოლანდიელი მხატვრები. 17.40 — პრემიერა. სატელევიზიო ფილმ-კონცერტი. „მღერის „ჰარმონია“. 18.10 — „გახსენება“. მერაბ კოსტავა. 19.00 — პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ. 20.00 — მოამბე. 20.45 — ძალისპირული. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ“. 22.40 — ილუზიონი.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი“. 8.30 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება. 9.00 — დედა, მამა და მე. 9.30 — „იცოცხლე, დედამიწავ!“. 10.30 — რეჟისორ ბ. კიმიაგაროვის ფილმი „ხასან-არბაკეში“. 12.05 — კონცერტი. 12.30 — სსრ კავშირის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის ბ. კორიაკოვცევის გამოსვლა. 12.50 — „ბურდა მოდენი“ წარმოგვიდგენს... 13.20 — „პარტნიორი“. 13.50 — „დაცვის სიგელი“. 14.20 — „Ა“ ნიშნით. 15.20 — კონცერტი. 16.45 — ფილმი — ბავშვებს. „დიდი მწვრთნელი“. 18.00 — საერთაშორისო პანორამა. 18.45 — მულტფილმი. 18.55 — რუსეთის საპარლამენტო მოამბე. 19.10 — „სიცილის გარშემო“. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. 21.55 — მაყურებელთა თხოვნით. „ქალბატონის ვიზიტი“. I და II სერია. 0.10 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 0.25 — „როკი ევროპის გარშემო“.

მეორე პროგრამა. 8.20 — მულტფილმი. 8.30 — მღერის ზუხრა ბარიფულინა. 8.55 — დოკუმენტური ფილმი. 9.25 — რუსული მეტყველება. 9.55 — კოლაჟი. 10.00 — ვიდეოარხი „თაშმაშრომლობა“. 18.00 — ფეხბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. ცსკა — „მეტალისტი“. 19.50 — დოკუმენტური ფილმი. 20.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 20.15 — დოკუმენტური ფილმის პრემიერა. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს სესიის დღიური. 22.40 — მღერის ხ. იგლესიასი (ესპანეთი). ღამის სეანსი. 0.55 — მხატვრული ტელეფილმი „შიში“.

ᲡᲝᲙᲣᲠᲘᲜᲘᲡᲢᲣ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 00434 საქართველოს კპ ცკ-ის გაზეთ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ